სადისციპლინო გადაწყვეტილება # 15

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

მატჩი	ხაშურის „ახალი ბანა“ - თბ „არაგველები“		
შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა		
მატჩის თარიღი	26/10/2025	მატჩის ადგილი	გორი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია		

დარღვევის დეტალები			
მოთამაშის სახელი	გურამ	მოთამაშის გვარი	ჯანდიერი
კლუბი/გუნდი	თბ „არაგველები“	დაბადების თარიღი	28/10/2006
მსაჯი/საითინგ კომისრი	მსაჯი სერგი სტეფნაძე		
ბინძური თამაში	☒ აღიარებულია ☐ არ არის აღიარებული	წითელი ბარათი	☒ აღიარებულია ☐ არ არის აღიარებული
დარღვევა	**9.28 (ა) მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივისმცემლობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ**	წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა ☐ თუ „სხვა“ დააზუსტეთ:	
სანქცია	2 (ორი) კვირა/თამაში		

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	29/10/2025	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
მოთამაშის დასწრება	კი ☐ არა ☒	კლუბის/გუნდის წარმომადგენლების დასწრება	კი ☐ არა ☐
მოთამაშის წარმომადგენელი	„არაგველები“-ს კაპიტანი რევაზ გოგიჩაიშვილი	სხვა დამსწრეები;	
მოთამაშის კლუბისთვის/გუნდისთვის განხილვამდე მიწოდებული დიკუმენტაცია	მატჩის მსაჯის სერგი სტეფნაძის წითელი ბარათის ოქმი;		

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 15

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

ფაქტობრივი მოცემულობბები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).
1. მატჩის მსაჯის სერგი სტეფნაძის წითელი ბარათის ოქმი (ციტირება) - მოგესალმებით! მოგახსენებთ, რომ მე - სერგი სტეფნაძე 26.10.2025 ში 19:00 სთზე მივლენილი ვიყავი ქალაქ გორში, ხაშურის „ახალი ბანა“ - „არაგველები“ თბილისის რეგიონული ლიგის მატჩის ცენტრალურ მსაჯად. აღნიშნული მატჩის პირველი ტაიმის დაახლოებით 20 წუთიდან, როცა ანგარიში 14-0 იყო არაგველების სასარგებლოდ, ორივე გუნდის მოთამაშეებმა დაიწყეს მომართვები კითხვებით: „დრო რამდენია“, „რატომ დამაჯარიმე“, და ა.შ სათამაშო სიტუაციებიდან გამომდინარე. რაზეც მოვახდინე რეაგირება და გავესაუბრე კაპიტნებს: განვუმარტე და ვუთხარი რომ მეტი თუ რაიმე კითხვა ექნებოდათ მოემართათ მხოლოდ კაპიტნებს და არა ყველას ორივე გუნდიდან, და რომ შემდეგ ასეთ შემთხვევაზე მოთამაშეს ყვითელ ბარათს ვუჩვენებდი. სულ მატჩის მიმდინარეობისას მსგავსი ფაქტი 4-ჯერ დაფიქსირდა. რაზეც ჩემი რეაგირება იყო ყვითელი ბარათები აღნიშნულ მოთამაშეებზე : 1) N6 - დავით გვილავა „არაგველები“ 2) N11 -საბა ჩალაბაშვილი „არაგველები“ 3) N7 - თენგიზ ქუთათელაძე „არაგველები“ 4) N19 - გურამ ჯანდიერი „არაგველები“ 5 ---- ახალი ბანას გუნდიდან ყვითელი ბარათით მოედანი მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთში მაღალი სახიფათო ბოჭვის გამო დატოვა N18 საბა აბაშიძემ. მატჩის 37-ე წუთზე როცა ანგარიში 48-0 იყო, რამდენიმე წუთის შემოსულმა „არაგველების“ N19 გურამ ჯანდიერმა დაიწყო აგრესიულად მომართვა და აპელირება ჩემს მიმართ, ყველა სათამაშო ეპიზოდში ყვირილით : „ჯარიმაა!“ „ჯარიმა“! ამ მომენტში „ახალი ბანა“ უტევდა და მატჩი მიმდინარეობდა არაგველების 10 მეტრიან ხაზთან. სადაც ბანას მოთამაშეს ბურთი წინ დაუვარდა და გურამ ჯანდიერის ყვირილმაც არ დააყოვნა, მივედი მასთან და კაპიტნის თანდასწრებით განვუმარტე რომ აპელირების გამო ვაჩვენებდი ყვითელ ბართს და უკან ვეღარ დაბრუნდებოდა (მატჩის დასრულებამდე 3 წუთი იყო დარჩენილი) ბარათის ჩვენებაზე მან მომმართა: რომ ყვითელი ბარათის არ ეშინოდა და რომ აღნიშნულ ყვითელ ბარათს „გადამაყლაპებდა“ გარეთ როცა გავიდოდი. რის გაგონებაზეც პირდაპირ წითელი ბარათი ვაჩვენე. აღნიშნული მოთამაშე თავისივე გუნდელებმა სასწრაფოდ გაიყვანეს მოედნიდან და დარჩენილი დრო თამაში ჩვეულებრივად სათამაშო ვითარებაში ჩატარდა და დასრულდა. მომხდარი ფაქტი ასევე დაფიქსირებული მაქვს მატჩის ოქმშიც. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ მატჩის დასრულების შემდეგ მსაჯების გასახდელში მოვიდნენ „არაგველების“ რამდენიმე მოთამაშე და აღნიშნული ფაქტის გამო ბოდიში მომიხადეს და მწუხარება გამოთქვეს. ამ საუბარს ასევე ესწრებოდა თანამსაჯი თაზო სტეფანოვი. არაგველების წარმომადგენლებმა ჩემთან საუბრისას დააფიქსირეს რომ გურამ ჯანდიერი მათ გუნდში და ვარჯიშებზე 1 კვირის მისული იყო.

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 15

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება
თბ „არაგველები“-ს კაპიტანი რევაზ გოგიჩაიშვილი დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას გურამ ჯანდიერის დარღვევის წითელი ბარათის ტოლფასად შეფასების შესახებ. სადისციპლინო კომისია სხდომის დროს ტელეფონით დაუკავშირდა გურამ ჯანდიერს, რომელმაც აღარა დარღვევა წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო და მოიბოდიშა კომისიის წინაშე.

ფაქტობრივი მოცემულობაზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა
1. სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის, მხარეების მოსმენის და მსჯელობის შემდეგ სადისციპლინო კომისამ : ა) დადგენილად ცნო გურამ ჯანდიერის მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.28(ა) (**მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივისმცემლობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ**) პუნქტის დარღვევა და დარღვევის სიმძიმე შეაფასა 9.28(ა) პუნქტის შუა ზღვრით დადგენილი სანქციის შესაბამისად;

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 15

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

გადაწყვეტილება

ბინძური თამაში	აღიარებულია ☒ დადგენილია ☐ არ არის დადგენილი ☐ სხვა (აღნიშნეთ) ☐
წითელი ბარათის ტოლფასი ქმედება	აღიარებულია ☒ დადგენილია ☐ არ არის დადგენილი ☐ სხვა (აღნიშნეთ) ☐

სანქცირების პროცესი

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტის მიხედვით

დარღვევის სიმძიმის შეფასება

განზრახვის შეფასება– 5.1(ა)-(ბ)	
შეგნებული/წინასწარ განზრახული ☐	**წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი** ☐
დარღვევის გამომწვევი მიზეზები/გარემოებები	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი): 5.1 (დ)	
პროვოცირების არსებობა 5.1 (ე)	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული 5.1 (ვ)	
ჰქონდა თუ არა მოთამაშის მხრიდან ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): 5.1 (ზ)	
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): 5.1 (თ)	
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე 5.1 (ი)	
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა; 5.1 (კ)	
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; 5.1 (ლ)	
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი. 5.1 (მ)	

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 15

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

დარღვევის სიმძიმის ზღვარი. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით**

საწყისი ზღვარი		
ზედა ზღვარი* ☐	შუა ზღვარი ☒	ქვედა ზღვარი ☐
კვირა/თამაში	**4(ოთხი)** კვირა/თამაში	კვირა/თამაში

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის. 5.3

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))	**დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))**
აღიარა დარღვევა სხდომაზე და მოიბოდიშა კომისიის წინაშე	სუფთა სადისციპლინო იტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ))	**ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))**
ახალგაზრდა და გამოუცდელი	სამაგალითო
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))	**ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))**

დაკლებული კვირების/თამაშების რ-ბა: 2

კვირების/თამაშების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა :
შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.8) სადისციპლინო კომისიამ მიიღო სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.28(ა) პუნქტის დარღვევისთვის შუა ზღვრით განსაზღვრული საწყისი სანქციის 50%-თ შემცირების გადაწყვეტილება.

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 15

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებები: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ)) (პერსონალური/გუნდური გაფრთხილება)
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))

დამატებითი კვირების/თამაშების რ-ბა:

სანქცია

- **სანქცია მოიცავს სადისციპლინო პროცესის დასრულებამდე(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.**

დისკვალიფიკაცია (კვირა/თამაში)**სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	2(ორი) კვირა/თამაში	**წითელი ბარათი საკმარისია** ☐
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	30/10/2025	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	24/11/2025	
დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	არაგველები-ლაშარი(08-09/11); გარდასახვა-არაგველები(22-23/11);	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)		

- **სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ მოთამაშეს/პიროვნებას თამაშის დროს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.3)**

თავმჯდომარე **ხელმოწერა**	მირიან თავზარაშვილი	**თარიღი**	30/10/2025

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72** (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება 2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf